



## ენერგეტიკის სფერო საქართველოში: ენერგეტიკული ბაზაჯვარედინი ბარდამაგალ პერიოდში

საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ენერგეტიკული დერეფნის გეოსტრატეგიული მდებარეობა დასავლეთის პოლიტიკოსების მიერ ხშირად სახელდება ფართომასშტაბიანი ფინანსური ინვესტიციების, ტექნიკური და ეკონომიკური დახმარების, და ქვეყნის ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკური მხარდაჭერის მთავარ მიზეზებად. ერთ-ერთი ინფორმაციით, 1995-2003 წლებში საქართველოს საერთაშორისო დახმარების სახით (კერძო ინვესტიციები და გაზისა და ელექტროენერჯის შესახებ) თითქმის 3 მილიარდი აშშ დოლარი აქვს მიღებული.<sup>1</sup> საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმაც პარტნიორობის ერთ-ერთ ძირითად მიზნად ასახელებს „ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ენერგომომარაგების დივერსიფიკაციას“ (გვ. 2).<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით მნიშვნელოვან ენერგეტიკულ დერეფანს წარმოადგენს, თვრამეტი წლის წინ საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანას მოსახლეობის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის მხრივ ურთულესი პრობლემები შეექმნა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბევრი ენერგეტიკული ობიექტი განადგურდა, ხოლო დარჩენილი რესურსები მნიშვნელოვნად დაზიანდა და უყურადღებოდ იქნა მიტოვებული.

ბოლო წლებში საქართველოს ენერგომომარაგებაში კრიზისმა პიკს გასულ წელს მიაღწია, როცა პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვის გამო რუსეთმა, საქართველოს უმთავრესმა ენერგომომწოდებელმა, გაზის ტარიფი მნიშვნელოვნად და სრულიად მოულოდნელად გაზარდა. 2007 წლის 1 მაისს „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (სემეკი) იტყულებული გახდა, რომ რუსული გაზის საფასურის ორჯერ მეტად გაზრდის საპასუხოდ გაეზარდა ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფები. მარტო მიმდინარე წელს თბილისელი მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის საფასური კილოვატ საათზე ხუთი ცენტით (დაახლოებით 8 თეთრით) გაძვირდა; ზოგიერთ სოფელში კი ეს თანხა ორჯერ მეტად გაიზარდა.<sup>3</sup> საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გათვლებით, ელექტროენერჯის საშუალო წლიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 1 900 კილოვატ საათია.

ამ ანგარიშში აღწერილია ენერგეტიკის სფეროში საქართველოს მთავრობის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტში - „სახელმწიფო ენერგეტიკის პოლიტიკაში“ დასახული ძირითადი მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად დღემდე გადადგმული ნაბიჯები.<sup>4</sup> აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სამი მთავარი ამოცანა: (1) ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია (მათ შორის, შიდა ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალის სრულად გამოყენება), (2) ენერგობაზრის

<sup>1</sup> კლოსონი, სტეისი რენე, 2007. „სახელმწიფო სისუსტეები: ტრანს-ტერიტორიული ენერგეტიკული ქსელები საქართველოში“, 1997-2003. გამოუქვეყნებელი სადოქტორო ნაშრომი, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, გვ.16.

<sup>2</sup> საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) განთავსებულია სახელმწიფო მინისტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.eu-integration.gov.ge](http://www.eu-integration.gov.ge).

<sup>3</sup> <http://www.kvali.com/kvali/index.asp?obiectivi=show&n=172>. ვებ-გვერდიდან ინფორმაცია აღებულია 2007 წლის 2 ივლისს.

<sup>4</sup> სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა ინგლისურ და ქართულ ენებზე განთავსებულია ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე: [www.mineenergy.gov.ge](http://www.mineenergy.gov.ge). ვებ-გვერდიდან ინფორმაცია აღებულია 2007 წლის 11 ივნისს.



დერეგულირება და ლიბერალიზაცია (კონკურენტუნარიანი კერძო ინვესტიციების მოზიდვა) და (3) საქართველოს ენერგეტიკული ტრანზიტის დერეგულაციის სარგებლიანობის გაზრდა.

## ენერგეტიკული უსაფრთხოება, ნაწილი 1: ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია

ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები იზიარებენ აზრს, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება, ძირითადად, ორ წინაპირობას მოიცავს, ესენია: (1) მომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია და (2) შიდა რეგულირების ეფექტური სისტემის შექმნა. აქედან პირველი, იმპორტირებული და ადგილობრივად გამოიმუშავებული ენერჯის დაბალანსება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უცხოელი მომწოდებლების მხრიდან შესაძლო მანიპულაციებზე საქართველოს დამოკიდებულების შემცირებას, ხოლო მეორე, ეფექტური და დამოუკიდებელი მარეგულირებელი სისტემის შექმნა, დაეხმარება ენერგეტიკის კონკურენტული ბაზრის განვითარებას და ახალი ინვესტიციების მოზიდვას.

2004 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა ქვეყნის მაქსიმალური ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით შიდა გამოიმუშავების გაზრდა, სათადარიგო რესურსების მოძიება და არსებული გადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ენერგოსისტემის სრულ იზოლაციას არ ნიშნავს. საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემ ინფრასტრუქტურაში დაგეგმილი ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოს კვლავ დაკავშირებას რეგიონულ ენერგეტიკულ ქსელებთან (მათ შორის, პირდაპირ კავშირებს რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის ენერგოსისტემებთან). ელექტროენერჯის იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტისათვის უწყვეტი რეგიონული ქსელის უზრუნველყოფა კი, მომარაგების ან გადამცემი სისტემების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ენერგოსაფრთხოების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება.

ენერგოსექტორის ეფექტურობის ამაღლებისთვის ხელისუფლების მიერ გადადგმულ და დაგეგმილ ნაბიჯებს შორის აღსანიშნავია: (1) ბუნებრივი აირის მიწისქვეშა საცავის მშენებლობა, (2) ქვეყნის ჰიდრორესურსების მაქსიმალური გამოყენება (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ახალი ჰესების მშენებლობის გზით) და (3) შიდა გაზისა და ნავთობის საძიებო სამუშაოების ჩატარება.

### ბუნებრივი აირის პირველი მიწისქვეშა საცავი საქართველოში

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოში ბუნებრივი გაზის საცავის არარსებობა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. ბუნებრივი აირის სპეციალური საცავი შესაძლებელს გახდის სამხრეთ კავკასიის მილსადენიდან<sup>5</sup> მიღებული აზერბაიჯანული გაზის შენახვას და შესაბამისად, შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას რუსულ გაზზე, თუმცა, ბუნებრივია, საცავი მხოლოდ ამ მილსადენიდან მიღებულ გაზზე არ იმუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები ამგვარი საცავის მშენებლობის რეკომენდაციას უკვე რამდენიმე წელია იძლევიან, საქართველოს მთავრობამ მისი შექმნა ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითად პრიორიტეტად მხოლოდ ახლახანს სცნო. ენერგეტიკის სამინისტროს განმარტებით, გაზის საცავის მშენებლობის დაგვიანებას არაერთი ტექნიკური და ფინანსური მიზეზი ჰქონდა, მათ შორის, ხელისუფლებას სურდა, რომ თავდაპირველად ამომწურავად გაეანალიზებინა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი და გარდა ამისა,

<sup>5</sup> ასევე ცნობილია ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის სახელწოდებით.



ეზრუნა გაზის მომწოდებლების დივერსიფიკაციაზე, რათა საცავი მხოლოდ რუსეთის გაზზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

გაზის საცავის აგების ტექნიკური მიზანშეწონილობის შემსწავლელი კვლევა წარსულში რამდენჯერმე, ბოლოს კი 2003 წელს ჩატარდა. 2006 წელს, როცა მთავრობამ საცავის მშენებლობის საკითხის განხილვა დაიწყო, „ათასწლეულის გამოწვევის საქართველოს ფონდმა“ (MCG) მთავრობას, ენერგეტიკული სექტორის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ახალი კვლევის ჩატარების დასაფინანსებლად 5 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა შესთავაზა. ამის შემდეგ, 2007 წლის დასაწყისში, საცავის ტექნიკური მიზანშეწონილობის კვლევის დაფინანსების სურვილი გამოთქვა არაბული ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდმა<sup>6</sup>. ხელისუფლებამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბუნებრივი აირის გაზის საცავის მშენებლობის ტექნიკური მიზანშეწონილობის შემსწავლელი კვლევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაეფინანსებინა. სავარაუდოდ, სამინისტრო კვლევის ჩატარებაზე ტენდერს 2007 წლის ოქტომბერში გამოაცხადებს. ხელისუფლების წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ კვლევის დასრულების შემდეგ ქუვეითის ფონდი გაზის საცავის მშენებლობაში ინვესტიციას ჩადებს.

როგორ იმუშავებს ბუნებრივი აირის საცავი? საქართველოს ტერიტორიაზე გადის შაჰ-დენიზის ტრანზიტული მარშრუტი და ამჟამად ამ მილსადენით მიწოდებული გაზიდან ქვეყანა ბუნებრივი აირის დამატებით წილს იძენს<sup>7</sup>. მაშინ, როცა საქართველო რუსული კომპანიის, „გაზპრომის“ მიერ მოწოდებულ ათას კუბურ მეტრ გაზზე ამჟამად 235 აშშ დოლარს იხდის, იგივე რაოდენობის აზერბაიჯან-ჩირაგ-გუნეშლის საბადოებიდან მიღებულ გაზს ის 120 აშშ დოლარად ყიდულობს. აღსანიშნავია, რომ საქართველო „გაზპრომის“ მიერ მოწოდებულ გაზში ყველა სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე ძვირს იხდის (სომხეთი ამჟამად 110, ხოლო უკრაინა 150 აშშ დოლარს იხდის). ევროკავშირის წევრი ქვეყნები საქართველოზე ოდნავ მეტს, საშუალოდ 240-დან 280 აშშ დოლარამდე იხდიან.<sup>8</sup>

ამ ეტაპზე შაჰ-დენიზის მომარაგების სისტემაში არსებულმა გარკვეულმა შეზღუდვებმა საქართველოს კასპიური გაზის შეძენის და ამჟამად მოხმარებული რუსული გაზის შემცირების საშუალება ჯერჯერობით არ მისცა, თუმცა შაჰ-დენიზიდან გაზის უფრო დიდი მოცულობით მიღებაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. დასავლეთის მიმართულებით შაჰ-დენიზის გაზის ტრანსპორტირების გაზრდის შემდეგ საქართველო, ტრანზიტული მომსახურების სანაცვლოდ, უფრო დიდი რაოდენობით გაზს მიიღებს. „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ განმარტებით, არსებული ხელშეკრულების თანახმად, გაზმომარაგების გაზრდისა და ტარიფების სტაბილურობის მიღწევის შემდეგ, საქართველო შაჰ-დენიზიდან მის ტერიტორიაზე გავლით თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5%-ის მიღებას კვლავ განაგრძობს (სატრანზიტო გადასახადის სახით) და პლუს მიეცემა იმის შესაძლებლობაც, რომ წინასწარ შეთანხმებულ შეღავათიან ფასში შეიძინოს დამატებით 0,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი (0,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შეღავათიან ფასში შეძენის შესაძლებლობა საქართველოს ექნება სამხრეთ კავკასიის გაზსადენის ამოქმედების მეექვსე წლიდან მეოცე წლამდე).

<sup>6</sup> ქუვეითის ფონდი არაბული ეკონომიკური განვითარებისათვის არის დონორი ორგანიზაცია, რომელსაც ამჟამად საქართველოში ორი სესხი აქვს გაცემული. სესხების სახით გაცემული 34.5 მილიონი აშშ დოლარი საავტომობილო მაგისტრალის სარეაბილიტაციო პროექტებზეა გათვალისწინებული. [http://www.caucas.com/home\\_eng/depeches.php?idp=1537&PHPSESSID=1dd54a444570de98a09a8ad2b67c9e13](http://www.caucas.com/home_eng/depeches.php?idp=1537&PHPSESSID=1dd54a444570de98a09a8ad2b67c9e13).

ინფორმაცია აღებულია 2007 წლის 5 ივლისს. ასევე, ენერგეტიკის სფეროში, ქუვეითის ფონდი გეგმავს დასავლეთ საქართველოში მდინარე რიონზე სამი ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობაში ინვესტიციის ჩადებას.

<sup>7</sup> შაჰ-დენიზიდან მიღებულ გაზში საქართველო 55 აშშ დოლარს იხდის (კუბურ მეტრში). 2007 წელს საქართველომ შაჰ-დენიზიდან შეისყიდა 250 მილიონი კუბური მეტრი გაზი.

<sup>8</sup> საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მონაცემები



ბუნებრივი აირის საცავში დაცული იქნება საქართველოს მიერ ტრანზიტული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული გაზი. საცავი აივსება ზაფხულის თვეების განმავლობაში, როცა გაზზე ნაკლები მოთხოვნაა. ექსპერტების თქმით, კიდევ რამდენიმე წელი საქართველოს მოთხოვნებს მაკდენიზისა და რუსეთის გაზი ერთობლივად დააკმაყოფილებს, გარკვეული დროის გავლის შემდეგ კი, შესაძლოა, რუსული გაზი ქართული ბაზრიდან მთლიანად გაიდევნოს. ენერჯეტიკის მინისტრი კი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მთავარ მიზანს ენერჯეტიკის დივერსიფიკაცია წარმოადგენს და რომ ის ისევე არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ აზერბაიჯანულ გაზზე, როგორც არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ რუსულზე. ენერჯეტიკის სამინისტროსთვის მნიშვნელობა აქვს არა გაზის წარმომავლობას, არამედ მის ფასს და მისი მოწოდების სტაბილურობას.

დამოუკიდებელი ექსპერტის გიორგი ვაშაყაძის თქმით, გაზის საცავი შესაძლებელს გახდის, რომ ქვეყნის ჰიდროენერჯეტიკური რესურსები მხოლოდ სასწრაფო შემთხვევებში იქნას გამოყენებული. მისივე გათვლებით, გაზის საცავი დაახლოებით სამ წელიწადში შეიძლება აშენდეს.

### საქართველოს ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალის გამოყენება

საქართველოს ენერჯეტიკული დივერსიფიკაციის სტრატეგიის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი ელექტროენერჯიკის გამოძევაების შიდა პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდაა. სახელმწიფო ენერჯეტიკის პოლიტიკის თანახმად, საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი მიზანი ელექტროენერჯიკის მოთხოვნის მხოლოდ ქვეყნის შიგნით გამოძევაზე დაკმაყოფილებაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ქსელი იმპორტისთვის დახურული იქნება: როგორც ზემოთ აღინიშნა, ელექტროენერჯიკის გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეგიონულ ქსელებთან სინქრონიზაცია, რაც ასევე პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ხელისუფლებისთვის, ხელს შეუწყობს, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მიერ ელექტროენერჯიკის იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების და ა.შ. შესაძლებლობების გაზრდას. ექსპერტების აზრით, საქართველოს უზვი მდინარეების წყალობით შესაძლებელია არამარტო ელექტროენერჯიკის შიდა მოთხოვნის, არამედ საექსპორტოდ ახლანდელზე ხუთჯერ მეტი ელექტროენერჯიკის გამოძევა. ამჟამად საქართველო თავისი ჰიდროენერჯიკის პოტენციალის მხოლოდ ოცი პროცენტის ექსპორტს ახორციელებს<sup>9</sup>. რეალურად დღესდღეობით გაცილებით მეტი ენერჯია გამოძევა, ვიდრე საქართველოს მისი შენახვის შესაძლებლობა აქვს (ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ სამხრეთ აღმოსავლეთ აფხაზეთში მდებარე ენგურის ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც საქართველოში უმთავრესი ჰიდროელექტროსადგურია, მსოფლიოში ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალი აქვს).

მთავრობამ ენერჯეტიკის სფეროში ყველაზე ფართომასშტაბიანი ტენდერი, რაც არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად, 2006 წელს ჩაატარა. შედეგად ექვსი ჰიდროელექტროსადგური და სამი სადისტრიბუციო კომპანია ჩეხურ კომპანია „ენერჯო-პროზე“ გაიყიდა (სამი პრივატიზირებული დისტრიბუტორიდან ყველაზე მსხვილი, „გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია“ საქართველოში ელექტროენერჯიკის 70 პროცენტის მიწოდებას ახორციელებს). მიუხედავად იმისა, რომ ტენდერი ოფიციალურად 2006 წლის ივნისში დაიხურა, 2007 წლის თებერვალში, კონტრაქტის საბოლოო ხელმოწერამდე მის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ივნისის ხელშეკრულების პირობების თანახმად, „ენერჯო-პროს“ ჰიდროელექტროსადგურები და სადისტრიბუციო კომპანიები 312 მილიონ აშშ დოლარად უნდა შეეძინა. თებერვალში ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად კი, კომპანია მხოლოდ 132 მილიონ აშშ დოლარს იხდის. მთავრობამ საბოლოო ფასში 180 მილიონი დოლარის განსხვავება იმით ახსნა, რომ

<sup>9</sup> გაზის ექსპორტი პირველად დაახლოებით ერთი წლის წინ განხორციელდა.



„ენერგო-პრომ“ კონტრაქტში ინფრასტრუქტურისა და ობიექტების რეაბილიტაციაში დამატებით 285 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელების პასუხისმგებლობა აიღო. მარიკა ვალიშვილის განცხადებით, ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური რეაბილიტაციის გარდა, „ენერგო-პრომ“ საკუთარ თავზე აიღო საქართველოს ელექტროენერჯის ქსელის დამატებით 100 მეგავატი მომარაგების პასუხისმგებლობა (ერთი ან უფრო მეტი ახალი ჰიდროელექტროსადგურის აშენების გზით). მიუხედავად იმისა, რომ „ენერგო-პროს“ მიერ გაღებული მთლიანი თანხის რაოდენობა სატენდერო ფასს აღემატება, თანხა, რომელსაც ის მთავრობას არსებული ობიექტების სანაცვლოდ უხდის, სინამდვილეში მაინც ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც მას გასული წლის ივნისის შეთანხმების მიხედვით გადაეხადა<sup>10</sup>. ენერგეტიკის მინისტრის თქმით, „ენერგო-პროს“ წინასწარ შეთანხმებული თანხა, 312 მილიონი აშშ დოლარი რომ გადაეხადა, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში წავიდოდა და შემდეგ ისევ ენერგო სექტორის რეაბილიტაციაზე დაიხარჯებოდა. ამჟამად „ენერგო-პრო“ პირდაპირ ჩადებს ინვესტიციას ენერგეტიკაში.

გარდა საბოლოოდ გადახდილ თანხასთან დაკავშირებული საკითხისა, განხილულ პრივატიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრისას ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს ზოგადად „ენერგო-პროს“ შესახებ არსებული ინფორმაციის სიმწირესაც<sup>11</sup>, კერძოდ კი, ინფორმაციის არქონას იმის შესახებ, თუ რა გამოცდილებას ფლობს „ენერგო-პრო“ ენერგოლისტრიბუციის სფეროში. იმის გათვალისწინებით, რომ „გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ“ 2003 წლიდან 2006 წლის დეკემბრამდე გადასახადების ამოღების მაჩვენებელი 12-დან 90 პროცენტამდე გაზარდა, ექსპერტები შიშობენ, რომ სადისტრიბუციო ფუნქციების შედარებით უცნობი კომპანია „ენერგო-პროსთვის“ გადაცემა შესაძლოა, უკან გადადგომლი ნაბიჯი აღმოჩნდეს, თუმცა ენერგეტიკის სამინისტროს „ენერგო-პროს“ გამოცდილებაში ეჭვი არ ეპარება და მდგომარეობის რაიმე სახით გაუარესებას გამორიცხავს.

გარდა ამისა, გიორგი ვაშაყაძის თქმით, მთავრობის მიერ სატენდერო პაკეტში ელექტროენერჯის გამომუშავებისა და დისტრიბუციის ფუნქციების გაერთიანება დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება. საქართველოს მთავრობამ ორივე მათგანის ერთ პაკეტში პრივატიზაცია მაშინ გადაწყვიტა, როცა ენერჯის მართვისა და დისტრიბუციის ფუნქციების გაერთიანება ევროკავშირის ქვეყნებმა კანონით აკრძალეს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა კი ერთ-ერთ მიზნად საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი სფეროს ევროკავშირის შიდა ელექტროენერჯის და გაზის ბაზრის პრინციპებთან ეტაპობრივად დაახლოებას ისახავს (გვ 26). ენერგეტიკის მინისტრი კი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მოთხოვნას წარმოადგენს არა გენერაციისა და დისტრიბუციის ცალ-ცალკე არსებობა, არამედ ცალ-ცალკე ბუღალტრული ანგარიშების წარმოება, რა მოთხოვნასაც „ენერგო-პრო“ დააკმაყოფილებს.

არსებული ობიექტების რეაბილიტაციის გარდა ელექტროენერჯის შიდა გამომუშავების გაზრდას მთავრობა ახალი ჰიდროელექტროსადგურების აშენებითაც გეგმავს. მთავრობის მიერ „ენერგო-პროსთან“ შეთანხმებაში აღნიშნული ერთ-ერთი პროექტი საქართველოს წელიწადში დამატებითი 100 მეგავატი ელექტროენერჯით მოამარაგებს. მეორე მთავარი პროექტი დასავლეთ საქართველოში ჰულონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გეგმაა. მარიკა ვალიშვილის თქმით, ჰულონის სადგური საქართველოს ენერგოქსელში დისტრიბუციისთვის 650 მეგავატი ელექტროენერჯის გამომუშავებას შეძლებს. ამჟამად მსოფლიო ბანკი ამზადებს ჰულონის სადგურის ასაშენებლად

<sup>10</sup> კორსო, მოლი, 2007 წლის 12 თებერვალი. „საქართველო: ოპოზიციის ლიდერები პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობის ნაკლებობას უჩივიან, EurasiaNet.org: <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav021207b.shtml>. ინფორმაცია აღებულია 2007 წლის 27 ივლისს.

<sup>11</sup> პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ ჩეხური კომპანიის უკან რეალურად რუსული კაპიტალი დგას.



ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოების და პოტენციური გარესმოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შემსწავლელ კვლევას<sup>12</sup>. მთავრობა მსოფლიო ბანკის კვლევის ანგარიშის მიღებას მომავალი წელიწადნახევრის განმავლობაში ელის. დამოუკიდებელი ექსპერტის, სტეისი კლოსონის განცხადებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს ჩინელ, ევროპელ, თურქ და ქუვეითელ კონტრაქტორებთან მომავალ სამ-ოთხ წელიწადში 30-მდე ახალი ჰიდროელექტროსადგურის აშენების თაობაზე<sup>13</sup>. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს ჰიდროენერჯო სისტემის განვითარებაში ინვესტიციების ჩადების ინტერესი გამოთქვეს ისრაელის, აშშ-ს, ინდოეთის და სხვა ქვეყნების ინვესტორებმაც. მინისტრის თქმით, დღესდღეობით საქართველოში ამ სფეროში საინვესტიციო ბუმია.

მთავრობამ ასევე მოახდინა მცირე ჰესების დერეგულაცია, რამაც, ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, ხელი შეუწყო ჰესების მშენებლობის ზრდას.

**შიდა ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოები**

მიუხედავად იმისა, რომ ენერგორესურსების დივერსიფიკაციის მიზნით ამჟამად გაწეული ძალისხმევა ძირითადად საქართველოს ჰიდროენერგეტიკის გამოუმუშავების პოტენციალის გაზრდაზეა მიმართული, მთავრობა ამ ეტაპზე ყურადღებას ამახვილებს შიდა ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოებზეც. ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს ნავთობისა და გაზის რეზერვების პოტენციალს<sup>14</sup> „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ სწავლობს.

საქართველო ასევე გეგმავს ქარის რესურსების გამოყენებას, გარდა ამისა, მიმდინარეობს მსჯელობა ატომური ელექტრო სადგურის მშენებლობის გარშემოც, თუმცა ეს საკითხი, ჯერჯერობით, არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი.

**ენერგეტიკული უსაფრთხოება, ნაწილი 2: ლეგიტიმური, მდბარი ინვესტიციების მოზიდვა**

ვინაიდან მთელი სექტორის მომცველი პრივატიზაცია მთავრობის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, ენერგეტიკის ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ეფექტური მარეგულირებელი მექანიზმის შექმნას. წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული თითქმის მთელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში ენერგეტიკის მარეგულირებელი მექანიზმების გაძლიერებაში საქართველოს მუდმივად უწევდნენ დახმარებას აშშ-ს განვითარების სააგენტო (USAID) და მსოფლიო ბანკი. ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც სათავეში 2003 წლის რევოლუციის შემდეგ მოვიდა, მიიჩნია, რომ მარეგულირებელი ინსტიტუტები კორუფციისათვის უფრო მეტ პოტენციურ რისკს წარმოადგენენ, ვიდრე ბაზრის განვითარებას უწყობენ ხელს და შესაბამისად, ამ ინსტიტუტების როლის გაძლიერების ნაცვლად, თავისუფალი საბაზრო ენერგეტიკული ინდუსტრიის განვითარების და მკვეთრად ლიბერალური საბაზრო პოლიტიკა აირჩია.

<sup>12</sup> ამ დოკუმენტში გაწერილი იქნება ყველა ტექნიკური დეტალი, რაც სამინისტროს საშუალებას მისცემს, რომ კვლევის დასრულებიდან მოკლე ხანში დაიწყო მშენებლობა.

<sup>13</sup> სრული ციტატა იხილეთ შენიშვნა 1-ში, გვ. 249.

<sup>14</sup> საქართველო ამჟამად მცირე რაოდენობით ნავთობს მოიპოვებს, რომელიც მთლიანად საზღვარგარეთ გადის. ქვეყანა ბენზინის და სხვა ნავთობპროდუქტების ექსპორტს აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და ევროპიდან რკინიგზისა და შავი ზღვის საშუალებით ახორციელებს.



დღევანდელი მდგომარეობით სემეკს არ გააჩნია იმის სათანადო რესურსები, რომ ენერგეტიკის სექტორის განვითარების ჯანსაღი გარემოს შექმნა უზრუნველყოს. ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ქვესათაურის ქვეშ (გვ 26) საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სემეკი უნდა „განვითარდეს ევროკავშირის ელექტროენერჯისა და გაზის 2003/54 და 2003/55 დირექტივების პრინციპების შესაბამისად“. ამ დოკუმენტებში (დირექტივებში) საუბარია დარგობრივი ეფექტურობის, მომსახურების სტანდარტებისა და კონკურენციის გაზრდაზე. საქართველოს მთავრობის სტრატეგიის თანახმად კი ამ დარგს (სავარაუდოდ, მინიმალურად) ენერგეტიკის სამინისტრო დაარეგულირებს. თუმცა სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სამინისტროს თანამშრომლებს რეგულირების პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. მისივე სიტყვებით, ისინი დარგის ტექნიკოსები არიან, რომლებსაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და მით უფრო, ბიზნეს საქმეების გადაწყვეტის არც პროფესიული მომზადება და არც ინტერესი გააჩნიათ. მინისტრი, მეორეს მხრივ, აცხადებს, რომ სამინისტროს მიზანს წარმოადგენს რეგულირების სფეროში თავისი როლის მაქსიმალურად შეზღუდვა, რაც ეტაპობრივად განხორციელდება.

ექსპერტთა ნაწილი მეტნაკლებად სექტიკურად უყურებს ენერგობაზრის დერეგულირებისადმი საქართველოს მზადყოფნას. მათი განცხადებით, სანამ ძლიერი ბაზარი არ შეიქმნება, ამ ინდუსტრიის ლიბერალიზაციის მცდელობები წარმატებული ვერ იქნება; რეგულირების კუთხით წარმოქმნილი გაუგებრობები რისკს შეუქმნის უცხოელ ინვესტორებს და საბოლოო ჯამში ახალგაზრდა და დაურეგულირებელი ბაზარი „ბუნებრივ მონოპოლიას“ დაემსგავსება, ან კვლავ შეინარჩუნებს ბარიერებს, რომლებიც ხელს შეუშლის ჭეშმარიტად ღია კონკურენციის მიღწევას.

მთავრობა თვლის, რომ ოპონენტების ეს არგუმენტი უსაფუძვლოა. ენერგეტიკის მინისტრის აზრით, სამინისტროს ფუნქცია უნდა იყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მხარე თანაბარ, არადისკრიმინაციულ პირობებში იქნება ჩაყენებული და თავისუფლად, საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად, შეეძლება საქმიანობის განხორციელება; სემეკ-მა კი უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი გარემოს მონოპოლიისგან დაცვა. მინისტრი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე სამინისტროში არსებობს იმის დეტალური, დროში გაწერილი გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ენერგეტიკის სფეროს ეტაპობრივი დერეგულირება.

**ენერგეტიკული უსაფრთხოება, ნაწილი 3: ბიოსტრატეგიული მდებარეობის სარბიერების მაქსიმალურად გაზრდა**

მთავრობის ენერგეტიკული სტრატეგიის მესამე კომპონენტი საქართველოს ენერგეტიკული ტრანზიტის დერეგულირების სტატუსიდან მიღებული სარგებლიანობის მაქსიმალურად გაზრდაა. საერთაშორისო კონსორციუმის (რომელსაც სათავეში ბრიტიშ პეტროლიუმი (BP) უდგას) მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და პარალელური სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობა 21-ე საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა იყო.

რა სარგებლობა მოუტანა სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტმა ქართველ მომხმარებლებს? ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის არჩილ ნიკოლაიშვილის განცხადებით, დღესდღეობით ამ მილსადენიდან საქართველო წლიურად 250 მილიონ კუბურ მეტრ ნავთობს იღებს. ეს რაოდენობა შესაძლოა 500 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზარდოს გაზსადენის მოქმედებიდან მეექვსე წელს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტრანზიტული ქვეყნის სტატუსის წყალობით, საქართველოს ამჟამად შეუძლია შეღავათიან ფასში სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაზის ნაწილის დამატებით



შეძენაც. მთავრობა იმედოვნებს, რომ საბოლოოდ ქვეყნის მთლიან მოთხოვნას გაზზე სამხრეთ კავკასიის გაზსადენიდან ტრანზიტის სანაცვლოდ მიღებული და შექმნილი გაზი მთლიანად დააკმაყოფილებს.

ამ დროისათვის კი მაგისტრალური მილსადენი, რომლითაც გაზი რუსეთიდან სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებს მიეწოდებათ, საქართველოს მომარაგების უმთავრესი წყაროდ რჩება. MCG-ის წარმომადგენლის განცხადებით, მაგისტრალური გაზსადენის საშუალებით ბუნებრივი აირი საქართველოს მოსახლეობის 100 პროცენტს და ბევრ სამრეწველო ობიექტს მიეწოდება, მათ შორის, თერმულ ქარხნებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ქვეყნის ელექტროენერჯის ერთი მესამედის გამოძევა. საქართველო, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, ასევე იღებს გაზის ტრანზიტის საფასურს. ამდენად, მაგისტრალური გაზსადენის მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოს მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის უწყვეტად მიწოდებისათვის, არამედ გაზსადენიდან მიღებული შემოსავლის შენარჩუნების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, MCG-მ, ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციაში 49.5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო. მაგისტრალური გაზსადენი XX საუკუნის 60-იან წლებში აშენდა და ბოლოს რეაბილიტაცია 1980 წელს ჩაუტარდა. რეაბილიტაციის პროგრამის პირველი ეტაპის დასრულება მიმდინარე წლის აგვისტოს ან სექტემბერში იგეგმება, მეორე ეტაპი კი 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყება.

ენერჯეტიკული რესურსების ტრანსპორტირების სხვა პროექტები, რომლებშიც საქართველო, როგორც ტრანზიტული ქვეყანა იქნება ჩართული, მოიცავს „ნაბუკოს“ და საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის მილსადენებს. „ნაბუკოს“ მილსადენი, რომელიც მიზნად ისახავს რუსული გაზის იმპორტზე საერთაშორისო დამოკიდებულების შემცირებას, ბუნებრივ აირს თურქეთიდან (სამხრეთ კავკასიის გაზსადენით) ავსტრიას მიაწოდებს. „ნაბუკოს“ მშენებლობის დაწყება 2008 წლის დასაწყისში იგეგმება და სავარაუდოდ, 2011 წელს დასრულდება. საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის მილსადენი, რომელიც ჯერჯერობით ისევ დაგეგმვის საწყის ეტაპზეა, კასპიურ გაზს შავი ზღვის წყალქვეშა მილსადენით, საქართველოს გავლით უკრაინას, აღმოსავლეთ ევროპას და საბოლოოდ ევროკავშირის მიაწვდის. „ნაბუკოს“ პროექტის მსგავსად, საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის მილსადენი რუსული ენერჯორესურსების იმპორტის მნიშვნელოვნად შემცირებას ითვალისწინებს.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

საქართველოს ენერჯეტიკის სფეროში მიმდინარე ცვლილებები, და ამ სფეროს განვითარებისთვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარება და კერძო ინვესტიციები ყველაზე ეფექტური მაშინ იქნება, როცა სფეროში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა საქართველოს მოქალაქეთა ნდობითა და მხარდაჭერით ისარგებლებს. ისევე, როგორც სხვა სფეროებში, ენერჯოსექტორშიც მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია საქართველოს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს მოსახლეობის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა ახდენს გავლენას და როგორ იცვლება ენერჯომომარაგების, დისტრიბუციისა და სამომხმარებლო ფასები, რა ძირითადი პრობლემებია ამ სფეროში და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს ხელისუფლება მათ გადასაჭრელად და ა.შ.

პრივატიზაციის პროცედურების სისტემატიზაცია და ამ პროცესის გაზრდილი გამჭვირვალობა ხელს შეუწყობს კონკურენტული ბიზნესპრაქტიკის დამკვიდრებას და მომავალში საქართველოს ენერჯომომარაგების უსაფრხოების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (როგორც პრივატიზაციის ადმინისტრატორს) და ენერჯეტიკის





სამინისტროს (როგორც ტექნიკური მრჩეველის) შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაზრდა ასევე დაეხმარებოდა ენერგეტიკის სფეროში პრივატიზაციის პროცესის დახვეწას და პოტენციური ინვესტიციების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფას. თუმცა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლის ლევან რამიშვილის აზრით, ამ სამინისტროების ხელმძღვანელ რგოლებს ერთმანეთთან ახლაც საკმაოდ გამართული კომუნიკაცია აქვთ, პრობლემას, უფრო მეტად, სამინისტროების შიგნით, ქვედა რგოლებთან კომუნიკაცია წარმოადგენს.

მთავრობის სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ბოლო ნაწილი ეხება ორმხრივ და რეგიონულ თანამშრომლობას, მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხს, რაც დღემდე შედარებით მცირე ყურადღებას იმსახურებდა. „ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გასაწევრიანებლად საქართველოს მიწვევა იშვიათად თუ გამხდარა საზოგადოებრივი განხილვის საგანი. 2006 წელს „ევროპის ენერგეტიკულმა გაერთიანებამ“ (EEC), რომელშიც მრავალი ქვეყანა შედის, საქართველო და უკრაინა გასაწევრიანებლად მიიწვია. უკრაინამ სწრაფად დაიწყო გაწევრიანების პროცედურა, საქართველო კი მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისში წარადგინა ინტერესის გამომხატველი ოფიციალური წერილი. სანამ მთავრობა EEC-ის პასუხს ელის, კარგი იქნებოდა, მომხდარიყო საზოგადოების ინფორმირება აღნიშნული გაერთიანების წევრობის სარგებლიანობისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ. როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრობამ და ნატო-ში გაწევრიანების მსურველი ქვეყნის სტატუსმა შეუქმნა საქართველოს ხელისუფლებას რეფორმების განხორციელების დამატებითი მოტივაცია, „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობასაც“ ასევე შეუძლია, ხელი შეუწყოს საქართველოს ენერგეტიკული დარგის განვითარებას და მისი უსაფრთხოების გაზრდას.

ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდამ თავის თავში უნდა მოიცავს საქართველოს ენერგეტიკული სფეროს განვითარების მიზნით MCG-ის მიერ გამოყოფილი 5 მილიონი აშშ დოლარის ხარჯვის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაც. MCG-ს წარმომადგენლის განცხადებით, ფონდი ამჟამად მთავრობასთან ერთად ენერგეტიკულ სფეროში დანარჩენი პრიორიტეტების განსაზღვრაზე მუშაობს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ალტერნატიული ენერჯის წყაროების (ქარის, თერმული, მზის ენერჯია და ა.შ.) შესწავლაზე. MCG ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბოლოოდ მთავრობის გადასაწყვეტია, თუ როგორ დაიხარჯება გამოყოფილი თანხა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ ანგარიშის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის ალექსანდრე ხეთაგურს (ენერგეტიკის მინისტრი), მარიკა ვალიშვილს (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორი), ჯო კორბეტს (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მენეჯერი/გენერალური დირექტორი), არჩილ ნიკოლაიშვილს (ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე), ნანა გურგენიძეს (ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინვესტიციების პროექტების დეპარტამენტის უფროსი), ლევან რამიშვილს (თავისუფლების ინსტიტუტი), სოფია ბრიტანჩუკს („ათასწლეულის გამოწვევა – ფონდი საქართველო“, საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი) და დამოუკიდებელ ექსპერტებს გიორგი ვაშაყმაძეს და სტეისი კლოსონს.

*ანგარიში მომზადდა BP-ს მიერ დაფინანსებული პროექტის - „საზოგადოების ინფორმირება ენერგეტიკის სფეროში განვითარებული მოვლენებისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ“ - ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ჩაატარებს ყოველთვიურ ტრენინგ-სემინარებს ჟურნალისტებისათვის ენერგეტიკის საკითხებზე და მოამზადებს და გაავრცელებს ყოველთვიურ ანგარიშებს ენერგეტიკის სექტორში განვითარებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.*